# არგუმენტთა ბრუნვების ათვისება ქართველ ბავშვთა მეტყველებაში

# (48-84 თვე)

**ანა ზარანდია**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ მახარობლიძე, პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2024**

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ზარანდია

ა. ზარანდია

15 ივნისი 2024

# აბსტრაქტი

მორფოლოგიურად მდიდარ ენებში ბრუნვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. შესაბამისად, ბრუნვის სისტემის ათვისება ასეთ ენებში მეტყველების განვითარების საერთო სურათის მნიშვნელოვანია ნაწილია. მოცემული ნაშრომის მიზანია ქართველ ბავშვთა (48-84 თვე) მეტყველებაში არგუმენტთა ბრუნვების ათვისების შესწავლა.

ნაშრომი შეიცავს სხვა ენებში ბრუნვათა ათვისების შესახებ არსებული ლიტერატურის ტიპოლოგიურ ანალიზს და კროს-სექტორულ, შერეულ (რაოდენობრივ და თვისებრივ) კვლევას. კვლევა დაფუძნებულია წინადადებების გამეორების დავალებაზე. მონაცემთა საფუძველზე გაანალიზებულია არგუმენტთა ბრუნვების ფუნქციური გამოყენება, არგუმენტის გამოტოვება და ბავშვების მიერ დაშვებული შეცდომები.

კვლევამ ცხადყო, რომ გამოკვლეულ ყველა ასაკობრივ ჯგუფში ბავშვებს კარგად ესმით არგუმენტის ბრუნვათა ფუნქციები, თუმცაღა მათი ათვისების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს 6-7 წლის ასაკშიც კი. ბავშვებისთვის განსაკუთრებულად რთულია მოთხრობითი ბრუნვის ათვისება. ორ ენაზე მოსაუბრე ბავშვებთან კი განსაკუთრებულად გამოიკვეთა შემდგომი ტიპის შეცდომები: ბრუნვის მარკერის არასწორი გამოყენება და არგუმენტის ნაწილობრივი გამოტოვება. აღნიშნული კვლევა ერთ-ერთი პირველია ქართული ენის განვითარების სფეროში. მოგროვებული ინფორმაცია საწინდარია ქართველ ბავშვთა მეტყველების ტიპიური განვითარების სრული სურათის შექმნისა და ასევე მნიშვნელოვანია ენების ათვისების ტიპოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით.



**საკვანძო სიტყვები:** ბრუნვათა სისტემა, არგუმენტის ბრუნვები, ენის ათვისება, არგუმენტის გამოტოვება, ბრუნვათა ფუნქციები.

## Abstract

Case plays an important role in morphologically rich languages. Therefore, the acquisition of the case system is a crucial aspect of language acquisition. The goal of this paper is to study argument case marking in Georgian children aged 48-84 months.

The paper consists of a typological literature analysis of publications on language acquisition in other languages and cross-sectoral, qualitative, and quantitative research. The research is based on a sentence repetition task. Using the collected data, we analyzed the functional usage of arguments, argument dropping, and the mistakes made by the children.

The research showed that in all studied age groups, children understand the function of case well. However, the acquisition of case function is not complete even by ages 6-7. For children, acquiring ergative case marking is particularly challenging. For bilingual children we have found two distinguishing mistakes: usage of incorrect case marker and partial argument dropping. This research is one of the first in the field related to the Georgian language. The collected data significantly contribute to creating a guidebook on typical language development in Georgian children and are important from the perspective of typological analysis of languages.

**Key words:** Case system, Argument marking, Language acquisition, Argument dropping, Case functions

## მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსტიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სრულ პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს თამარ მახარობლიძეს გამოჩენილი ყურადღებისთვის და დახმარებისთვის. ასევე, მადლობას ვუხდი მილან ბიკოკას უნივერსიტეტის პროფესორს, მარია ტერეზა გუასტის გაწეული რეკომენდაციებისთვის.